ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 2/2

ქ. თბილისი 4 აპრილი, 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პროფ ჯგუფი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ კოსინენკოს სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთვის“ ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის გრანტის სახსრებით, მონაცემთა ბაზებისთვის მონაცემთა შეყვანა/შეტანის მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 72311200), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მასალათა საცავში უძრავ ძეგლებზე არსებული დოკუმენტაციის (გრაფიკული, ტექსტური, ფოტო) ციფრულ ფორმატში გადაყვანა/დიგიტალიზაცია და არსებულ მონაცემთა ბაზაში შეყვანა (გაგრძელება). მომსახურების ტექნიკური დავალება მოცემულია დანართის სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ აწილს (იხ. დანართი).

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს 1.2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მაღალხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: თენგის ჩოლოყაშვილი, იოსებ კვანტალიანი.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 30 საბანკო დღისა.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

**გენერალური დირექტორი**

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

**მიმწოდებელი**

შპს „პროფ ჯგუფი“
მის: ქ. თბილისი,
დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ო.ქინქლაძის ქ.#11
ს.ს. „პრივატბანკი“
კოდი: CAVOGE22
ა/ა № GE63TP0036080070000612
ს/კოდი: 401956291

**დირექტორი**

რევაზ კოსინენკო

# ტექნიკური დავალება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მასალათა საცავში უძრავ ძეგლებზე არსებული დოკუმენტაციის (გრაფიკული, ტექსტური, ფოტო) ციფრულ ფორმატში გადაყვანა/დიგიტალიზაცია და არსებულ მონაცემთა ბაზაში შეყვანა (გაგრძელება).

## 1.ზოგადი აღწერა

ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახური აგრძელებს საცავში არსებული მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანა/დიგიტალიზაციის და მონაცემთა ბაზაში განთავსების პროცესს, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ორიგინალების დაცულობა, მომსახურების სისწრაფე და ხარისხი.

დღევანდელი მდგომარეობით ციფრულ ფორმატში გადაყვანილი და მონაცემთა ბაზაში განთავსებულია საცავში თავმოყრილი გრაფიკული, ტექსტური და ფოტო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხოლო დარჩენილი მასალა, დოკუმენტებისადმი გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით, დაუყონებლივ საჭიროებს დიგიტალიზაციას.

### შესასრულებელი მომსახურების მიზანი

შესასრულებელი მომსახურების მიზანია კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა საცავში არსებული მასალის დიგიტალიზაციის გაგრძელება: სკანირება და მონაცემთა ბაზაში განთავსება შესაბამის ფორმატში (tif, jpg, pdf)

გასაწევი სამუშაოს მოცულობა განისაზღვრება 12000 (თორმეტი ათასი ) ერთეული მასალით (A4, A3, A2, A1, A0 ფორმატის ფურცლები რომელთა ძირითადი ნაწილი აკინძულია A4, A3 ალბომების სახით. რომლებიც შეიძლება შეიცავდეს ასევე არასტანდარტული ზომის ფურცლებს.

შესასრულებელი მომსახურება გულისხმობს არსებული ტექნიკური დავალების ფარგლებში განსაზღვრული მოცულობის მასალების დიგიტალიზაციას და მონაცემთა ბაზაში განთავსებას.

მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანის ყველა ტექნოლოგიური საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

სამუშაოების განხორციელების დაწყებისას აუცილებელია არქივში დაცული მასალებისა და არქივის ბაზის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გაცნობა, შესწავლა და რეკომენდაციების გათვალისწინება.

### ძირითადი პირობები

შესასრულებელი მომსახურების ვადა განსაზღვრულია 1 თვით.

მიმწოდებელს უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი ტექნიკური რესურსი.

პრეტენდენტმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს და შეათანხმოს მომსახურების მიმდინარეობის გრაფიკი. შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, მიმწოდებელი ეტაპობრივად წარუდგენს შემსყიდველს ინფორმაციას წერილობითი ანგარიშის სახით, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

მიმდინარე მომსახურების მონიტორინგის მიზნით თვის ბოლო სამუშაო დღეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დიგიტალიზირებული და ბაზაში შეყვანილი ალბომების სია, ცალ-ცალკე თითოეული ალბომის დასახელებისა და გვერდების რაოდენობის მითითებით. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, მომსახურების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს, გააკორექტიროს ისეთი ტექნიკური და სპეციფიური საკითხები, რომელიც არ გამოიწვევს მომსახურების მოცულობისა და შინაარსის არსებით ცვლილებებს.

მასალების ციფრულ ფორმატში გადაყვანის ყველა ტექნოლოგიური საკითხი წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. დასკანერებული მასალის შენახვის, ფოლდერებში განაწილებისა და ბაზაში განთავსების წესები (სქემა) შეთანხმებული და ცნობილი უნდა იყოს შემსყიდველისათვის.

დასკანერებული მასალის შენახვის, ფოლდერებში განაწილებისა და ბაზაში განთავსების წესები (სქემა) შეთანხმებული და ცნობილი უნდა იყოს შემსყიდველისათვის.

### მომსახურების შესრულების ხარისხი

პროექტების სპეციფიკიდან გამომდინარე არსებული გრაფიკული და ტექსტური გამოსახულება შესრულებულია როგორც შავ-თეთრად, ასევე ფერადად. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა სწორედ შეირჩეს სკანირების შესაბამისი რეჟიმი (ფერადი, ნაცრისფერის გრადაციები, რეზოლუცია და ა.შ. ), რათა შენარჩუნებული იქნას ორიგინალის ხარისხი (ალბომთან მუშაობის პროცესში შეიძლება რამდენჯერმე გახდეს საჭირო სკანირების პარამეტრების ცვლა).

არსებულ ტექნიკასთან მორგების მიზნით, არასტანდარტული ზომის ალბომებს ან ფორმატებს ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დაჭირდეს დაშლა (თუ მათი დაზიანების რისკი არ არსებობს) და დასკანერების შემდეგ ხელახლა აკინძვა.

ყველა კონკრეტული არასტანდარტული შემთხვევა უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

**შემსყიდველისათვის პროდუქტის ჩაბარების ფორმა**

მიმწოდებელმა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების შემდეგ, შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებულ დღეს, უნდა უზრუნველყოს შევსებული მონაცემების პრეზენტაცია.

მომსახურების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს დიგიტალიზირებული და ბაზაში შეყვანილი ალბომების სია, თითოეული ალბომის გვერდების რაოდენობის მითითებით.

დიგიტალიზირებული მასალა, შეთანხმებული სქემის თანახმად, უნდა განთავსდეს მონაცემთა ბაზის ფოლდერებში, შენარჩუნებული იქნეს აგრეთვე საწყის სამუშაო ფოლდერებში და ასევე ჩაბარდეს შემსყიდველს ინფორმაციის დამოუკიდებელ მატარებელზე ჩაწერილი.

გაწეული მომსახურების შედეგად მიღებულ პროდუქტზე ყველა უფლებას ინარჩუნებს შემსყიდველი.

მომსახურების დასრულების და პროდუქციის ჩაბარების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვე.

**შპს „პროფ ჯგუფის“**

**დირექტორი**

რევაზ კოსინენკო